დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის –**<u>სამხედრო-სამობილიზაციო სექტორი</u>** წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ,საქართველოს კანონის „ მობილიზაციის შესახებ", კანონით „ სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ","დებულებით „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის" შესახებ ,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2. დებულება განსაზღვრავს **<u>სამხედრო-სამობილიზაციო სექტორის</u>** ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

ფუნქციები

--სამხედრო აღრიცხვის ხაზით:

- უზრუნველყოს რეზერვისტთა და წვევამდელთა ზუსტი და სრულყოფილი აღრიცხვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დადგენილი წესებისა და ფორმების მიხედვით;
- სისტემატიურად შეუდაროს სტუდენტთა პირადი ბარათების მონაცემები რეზერვისტთა სამხედრო ბილეთებსა და წვევამდელთა მიწერის მოწმობების ჩანაწერებს, ყოველწლიურად წარუდგინოს ისინი ადგილობრივი მმართველობის სამხედრო განყოფილებებს სამხედრო-სააღრიცხვო მონაცემების შედარებისათვის;

- განახორციელოს რეზერვისტთა და წვევამდელთა ოჯახური მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მისამართების, სამსახუხებრივი მდგომარეობის, საერთო განათლების ცვლილებათა სისტემატური აღრიცხვა; აღნიშნული ცვლილებები 7 დღეში შეიტანოს პირად ბარათებში(ტ—2) და აცნობოს ეს შესაბამის ადგილობრივი მმართველობის სამხედრო განყოფილებებს;
- დროულად გააფორმოს მუშა-მოსამსახურეების,საინჟინრო-ტექნიკური და კვალიფიკაციური მუშაკების რეზერვისტთა დაჯავშნა საქართველოს ეკონომიკისათვის მობილიზაციისა და ომიანობის პერიოდში;
- 10 დღეში აცნობოს შესაბამისი რაიონის ადგილობრივი მმართველობის სამხედრო განყოფილებებს სამუშაოზე ახლად მიღებულ და სამსახურიდან დათხოვნილ რეზერვისტთა და წვევამდელთა შესახებ;
- რეზერვისტთა და წვევამდელთა უნივერსიტეტში მიღების დროს შეამოწმოს მათი სამხედრო-სააღრიცხვო დოკუმენტაცია (რეზერვისტებს--სამხედრო ბილეთი ან დროებითი მოწმობა, ხოლო წვევამდელს-- მიწერის მიწმობა), დაადგინოს იმყოფებიან თუ არა ისინი სამხედრო აღრიცხვაზე.

რეზერვისტები და წვევამდელები, რომლებიც არ იმყოფებიან სამხედრო აღრიცხვაზე, სასწავლებლად მიიღებიან მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამხედრო აღრიცხვის შემდეგ;

- ცნობების მომზადება თავდაცვისა და განათლების სამინისტოების მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით და მათი წარდგენა ადგილობრივი მმართველობის სამხედრო განყოფილებებში უნივერსიტეტში ჩარიცხულ, სხვა სასწავლებელში სასწავლებლად გადასულ ან გარიცხულ რეზერვისტთა და წვევამდელთა შესახებ(ფორმა—2);
- სტუდენტ რეზერვისტთა და წვევამდელთა პირად ბარათებში (ტ—2) მონაცემთა შეტანა კერსიდან კურსზე გადაყვანის, ფაკულტეტის ან სპეციალობის, ჯგუფის შეცვლის, კურსზე დარჩენის, უნივერსიტეტიდან გარიცხვის, აღდგენის, უნივერსიტეტის დამთავრების შესახებ.
- ცნობების მომზადება, რეგისტრაცია და გაცემა იმ სტუდენტებზე, რომლებმაც სამხედრო კათედრაზე ისწავლეს ერთი, ორო ან სამი სემესტრის განმავლობაში;
- კათედრაგავლილ სტუდენტთა პირადი საქმეების ადგილიბრივი მმართველობის სამხედრო განყოფილებებში გაგზავნის და სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ ცნობების მომზადემა;

- სამხედრო ფიცის მიღების ორგანიზება იმ კურსდამთავრებელებისაგან, რომელთაც სამხედრო კათედრა ჩაეთვალად გავლილად;
- სამსახურში შემოსულ დოკუმენტაციაზე მუშაობა, სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში გასაგზავნი წერილებისა და დოკუმენტების, საუნივერსიტეტო ბრძანებების მომზადება;
- ეროვნული გვარდიის დეპარტამენტთან ერთად რეზერვისტთა სიების შემოწმება, მათი აღრიცხვიანობა, ინფორმირება, გაცვევის ორგანიზება;

თავდაცვის სფერო:

- საიდუმლოების ინფორმაციის შემცველი მასალები სამეცნიერო-კვლებითი სამუშაოების შესახებ, რომლებიც ეხება საბრძოლო ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების შემუშავებას;
- სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების დარგში აღმოჩენებს, გამოგონებებს, სამეცნიერო-კვლევით და იმ სამუშაოთა შესახებ, რომლებიც სრულდება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისათვის და აქვს სამხედრო მნიშვნელობა, ამ სამუშაოთა დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ, ამ საქმიანობაში კონკრეტული პირების მინაწილეობის შესახებ;
- დახურული სამეცნიერო საბჭოების, განყოფილებების, ლაბორატორიების შესახებ;
- სამოქალაქო თავდაცვის მზადყოფნის ღონისძიებათა შესახებ;
- მონაცემები საფრენი საშუალებების ,ავიაძრავების რაოდენობის, ტექნიკური მდგომარეობის შესახებ;
- მონაცემები მფრინავთა და საინჟინრო-ტექნიკური შემადგენლობის რაოდენობისა და პ/შემადგენლობის შესახებ’

სამობილიზაციო ხასიათის ცნობები :

- ცნობები უნივერსიტეტში ომის დროისათვის განკუთვნილი ფორმირებების (საავიაციო, სატრანსპორტო, სამედიცინო-სანიტარული მომსახურებისა და სხვა ფორმირებების) შესახებ;
- ინფორმაციები სამხედრო აღრიცხვაზე მყოფ სამხედროვალდებულთა კრებსითი მონაცემების შესახებ;

- ინფორმაციის შემცველი მასალების სამეცნიერო-კვლევითი სამეშაოების შესახებ, რომლებიც ეხება ახალი სახეობის სამხედრო იარაღის, საბრძოლო ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების შემუშავებას;
- ცნობები სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების დარგშიაღმოჩენების ,გამოგონებების, სამეცნიერო-კვლევითი და იმ სამუშაოთა შესახებ, რომლებიც დაგეგმილია ან სრულდება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისათვის და აქვს სამხედრო მნიშვნელობა;
- ცნობები, რონლებიც ამჟღავნებენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების არსს;
- ცნობები სამოქალაქო თავდაცვის მზადყოფნის ხარისხზე; სამოქალაქო თავდაცვის პირველ და მეორე რიგში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ;
- შიდასატელეფონო კავშირის საკაბელო ქსელის სქემები;

საგარეო ურთიერთობათა სფერო:

- ცნობები უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის საკითხების შესახებ, თუ მათმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ინტერესებს;
- ცნობები სამხედრო გამოგონებებსა და საწარმოო საიდუმლოებებზე, რომლებიც ჩვენს მიერ გადაეცა ან მიეყიდა უცხოეთის ხელისუფალთ, ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს;
- ცნობები გასაყიდად ან შესაძენად გამიზნულ ლიცენზიების, ტექნოლოგიური პროცესების ტექნიკური დოკუმენტაციის შესახებ;

ნ უ ს ხ ა

იმ თანამდებობის პირებისა , რომლებიც უფლებამისილნი არიან გასცენ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფირმაციასთან დაშვების უფლება;

1. უნივერსიტეტის რექტორი (მოვალეობის შემსრულებელი)

ნ უ ს ხ ა

იმ თანამდებობის პირებისა, რომელთაც აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიკუთვნების უფლება

1. სახელმწიფო საიდუმლოების მფლობელი სასწავლებლის, სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელი, მისი მოადგილეები;
2. საიდუმლი თემატიკაზე მომუშავე ქვედანაყოფის უფროსები, მათი მოადგილეები;
3. უნივერსიტეტის სამხედრო-სამობილიზაციო სექტორის უფროსი;

მოვალეობანი მობილიზაციის კანონის უზრუნველსაყოფათ

- ორგანიზაცია გაეწიოს და განახორციელოს სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფის ღონისძიებებს;

- მობილიზაციისათვის მზადყოფნისა და მიბილიზაციის დროს დანიშნოს ცალკეული მუშაკები სამობილიზაციო ამოცანების შესასრულებლად;
- დაამუშაოს მობილიზაციის გეგმები უნივერსიტეტის უფლებამოსილებათა ფარგლებში;
- დაჯავშნოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მუშა – მოსამსახურეები (ვიზედაც ვრცელდება დაჯავშნა) და გააკონტროლოს სათანადო ვადების დაცვა.
- მჭიდრო კავშირი იქონიოს ადგილობრივი მმართველობის სამხედრო და თავდაცვის სამინისტროს სამობილიზაციო განყოფილებებთან, უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან;
- კონტროლი განახორციელოს რათა დროულად შესრულდეს წვევამდელთა და სამხედროვალდებულთა შესახებ მთავრობის დადგენილებები და მითითებები;

3. სექტორის სტრუქტურა

3.1. სექტორს ხელმძღვანელობს სექტორის უფროსი.

3.2. სექტორში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად.

3.3. სექტორის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

3.4. სექტორის უფროსი ანგარიშვალდებულია სტუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

4. დასკვნითი დებულებები

4.1 დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

4.2. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან და სექტორის ლიკვიდაციის შემთხვევაში.